საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაათ მაისს მე, ნოტარიუს **ალექსანდრე ჩალაურს** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ვეკუას ქუჩა #23,** მომმართა მოქალაქე გია ვახანელოვმა, **შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს (საიდენტიფიკაციო კოდი N 400350160), დირექტორმა თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23000771, 20/01/2023 11:00:13.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გია ვახანელოვი(დაბადების თარიღი:25.01.1989წ. დაბადების ადგილი: თბილისი პ/#01001047471 რეგ.მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარდევანის ქუჩა, N 20.) მე შევამოწმე **მოქალაქის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევამოწმე უფლებამოსილება თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს. ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.enreg.reestri.gov.ge შევამოწმე **შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს სადამფუძნებლო** შეთანხმებით შემდეგ **„მიმნდობს"** ჩემს მიერ განემარტა მინდობილობის შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

რწმუნებულება/მინდობილობა

მე, გია ვახანელოვი(დაბადების თარიღი:25.01.1989წ. დაბადების ადგილი: თბილისი პ/#01001047471 რეგ.მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარდევანის ქუჩა, N 20.) **შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს (საიდენტიფიკაციო კოდი N 400350160), დირექტორი-„მიმნდობი"**, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბესიკ კალაძეს(დაბადების თარიღი:20.02.1986წ. პ/#01010015517) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: ,,მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს (საიდენტიფიკაციო კოდი N 400350160), ქ. თბილისის მერიის, სსიპ არქიტექტურულ სამსახურთან, ასევე ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, სს"თელასში", სს „ჯივიპიში", ასევე სხვა სახელმწიფო თუ კერძო პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის სათანადო წესით შეთანხმებასთან და მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით.

,,მინდობილი პირი" უფლებამოსილია მერიის ნებისმიერ სამსახურში საზოგადოების სახელით, წარადგინოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, პროექტები, ნახაზები, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა საბუთს, ატვირთოს საიტებზე დოკუმენტაცია, მიიღოს მონაწილეობა პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში და შეასრულოს სხვა ყველა ქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას. ,,მინდობილი პირი" ასევე უფლებამოსილია ხელზე მიიღოს შეთანხმებული პროექტები და მშენებლობის ნებართვები.

,,მინდობილი პირი" ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სახის მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ,,მიმნდობი"-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ მინდობილობით, მოცემული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაათი მაისის ჩათვლით

წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე ნოტარიუსმა **ალექსანდრე ჩალაურმა** მიმნდობს, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით მან პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურის სანოტარო ბიუროს არქივში და მას თან ერთვის:

1) **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23000771, 20/01/2023 11:00:13.**
2) **შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს სადამფუძნებლო შეთანხმება.**

ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 30 (ოცდაათი) („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების მუხლი 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად) და დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ გადახდილია: 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი

შპს "ჯჯჯ გრუპი ჯორჯია 2023-ს დირექტორი

გია ვახანელოვი .....

ნოტარიუსი ალექსანდრე ჩალაური.....

NOTARY PUBLIC OF GEORGIA ALEKSANDRE CHALAURI 59001014

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
31582137913123

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230699334

რეგისტრაციის თარიღი

30.05.2023 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე ჩალაური
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ, N23
ტელეფონი: 595053399 +995 32 2 111 775

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18